

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №034.14

1. ფაქტები

დ.ხ.-მ სოციალურ ქსელ facebook-ში ადვოკატ ლ.ა.-ს მისამართით დაწერა შემდეგი ფრაზა: „ლ.ა.-ს შიგ ხომ არ აქვს ამას, რომ ამბობს?“

2. პროცესუალური ისტორია

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ლ.ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ.ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატი დ.ხ.-ს მიმართ. დისციპლინური დევნის აღმმგრელმა კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ კოლეგის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ დ.ხ.ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი („ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი (კოლეგიალობის პრინციპი - „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები) და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი (ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგას).

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ.ხ.ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, ვინაიდან მან დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი და ადვოკატის ვალდებულება ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპი („ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი).

ეთიკის კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის სამართლებრივ შეფასებას ადვოკატის მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე. ეთიკის კომისია უთითებს, რომ ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. აღნიშნული დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. თუმცა ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, 23-ე მუხლის თანახმად „ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან ...ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.“ ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ დაწერილი სიტყვიერი შეურაცხყოფა უშუალოდ კოლეგისადმი ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, გასწავლებით სხვა პირებისგან. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლსა და მე-10 მუხლის პირველ

ნაწილში მოცემული სიტყვა „კოლეგა“-ში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მოიაზრებს იურისტ კოლეგებსაც. შესაბამისად, ადვოკატ დ.ხ.ს რომც არ სცოდნოდა, რომ ლ.ა. იყო ადვოკატი, მას მაინც ევალებოდა პროფესიული ღირებულებების დაცვა. ეთიკის კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია განემარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, იგი ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა სოციალურ ქსელში გამოყენებული სიტყვებით შეურაცხყო ადვოკატი, რომელზეც განაცხადა, რომ არ იცოდა მისი პროფესიის შესახებ, თუმცა მას რამოდენიმე თვე ჰქონდა საორიენტაციოდ. აქვე მან დაადასტურა, რომ იცოდა რომ, ლ.ა. იურისტი იყო და მას უნდა ევარაუდა, რომ ეს იურისტი იქნებოდა ადვოკატი. ადვოკატმა მოცემული სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა პროფესიას, რომელიც აკადემიური და ზნეობრივი ბუნებებისაა. გაჟღერებული სიტყვები პირდაპირ სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას და კატეგორიულად მიუღებელია, როგორც ადვოკატისათვის ისე არაადვოკატისთვისაც. ადვოკატის მიერ დარღვეულია კოლეგიალობის პრინციპი.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულება - „ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ადვოკატის მიერ აზრის ასეთ გამოხატვას საჯაროდ აუცილებლად ესაჭიროება გაფრთხილება, რამეთუ საქმე მხოლოდ აკოლეგიალობასთან კი არ გვაქვს, არამედ საჯაროდ ადვოკატის განაცხადთან, რომელიც კატეგორიულად მიუღებელია პროფესიისთვის, მისდამი ნდობისათვის, მისი მისიისა და როლისათვის. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოების მიერ ამ სიტყვებით იქნას შეფასებული არამხოლოდ დ.ხ., არამედ ადვოკატი დ.ხ.. ნიშანდობლივია, რომ ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება დაიწყო 2014 წლის აპრილის თვიდან ადვოკატს ჰქონდა საკმარისი დრო თავისი საქციელის გამოსასწორებლად. სიტყვები, რომლებიც გამოიყენა ადვოკატმა პროფესიისათვის არის კატეგორიულად მიუღებელი, რადგან გამოხატავს ადამიანის პიროვნების, პატივის და ღირსების შეურაცხყოფას. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები გაჟღერებული იქნა საჯაროდ, რაც უფრო ამძიმებს ადვოკატის პროფესიულ მდგომარეობას. ეთიკის კომისიამ პრეცედენტის სახით მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი საქმე R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) რომლის მიხედვითაც: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ.ხ.ის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ, შესაძლოა დაუკარგოს საზოგადოებას ნდობა ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლების ეთიკურობის მიმართ. ეთიკის კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია განემარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

რომელი დისციპლინური ზემოქმედების ფორმა უნდა განისაზღვროს ადვოკატის მიმართ? (პროპორციულობა). ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლები.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში პირველად მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის წარმოება, მას საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება გააჩნია 2000 წლიდან. მოცემული მდგომარეობა და მისი გამოცდილება არ საჭიროებდა რეკომენდაციას, არამედ საჭიროებდა მძაფრ მინიშნებას მისი საქციელის ნეგატიურობაზე, რისთვისაც მას გაფრთხილება განესაზღვრა.

ადვოკატ დ.ხ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
იურიდიული ეთიკის მიმართულება
© მიხეილ რეხვიაშვილი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

E A S T • W E S T
M A N A G E M E N T
I N S T I T U T E

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)